კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. **განცხადება**
   (წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი; ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს; გ) მოთხოვნას; დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
2. **რეესტრიდან ამონაწერი**
   (კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები).
3. **სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.**
4. **წესდება**, რომელშიც ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის სფეროდ განსაზღვრული იქნება დაცვითი საქმიანობის განხორციელება;
5. **ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების):**
   - პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი **მოწმობის/პასპორტის ასლი**;
   - **ცნობა ნასამართლობის შესახებ**;
   - **ჯანმრთელობის მდგომარეობის** დამადასტურებელი ცნობა;
   - ცნობა **ნარკოლოგიური შემოწმების** შესახებ;
   - **საჯარო მოხელის არყოფნის** დამადასტურებელი ცნობა საჯარო სამსახურის ბიუროდან.
6. **დამფუძნებლებისა და პარტნიორების სია:**
   - პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი **მოწმობის/პასპორტის ასლი,** იურიდიული პირის შემთხვევაში – **რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;** თითოეულ დამფუძნებელზე:
   - **ცნობა ნასამართლობის შესახებ,** თუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა – ამ სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული პირის ნასამართლობაში არყოფნის ფაქტს;
7. **ფინანსური, ქონებრივი** (მათ შორის, საქმიანობისთვის საჭირო ფართობის) და **მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია** (დაცვითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელი);
8. **საბანკო გარანტია** არანაკლებ **200 000 ლარზე** (დაცვითი ორგანიზაციის მიერ დამკვეთისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის გარანტია);
9. მცველის სამსახურებრივი **ფორმის ტანსაცმლის ნიმუშების პლანშეტი**;
10. **ცნობა** საგადასახადო ორგანოებიდან **ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;**
11. **ცნობა** ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ **უძრავ ნივთზე ყადაღის შესახებ**.